თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2018 წლის 9 თვის მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 280 502.6 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 543 915.1 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 623 880.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	237,478.8	623,880.2
ვალუტა და დეპოზიტები*	0.0	446,575.7
სესხები	186,155.5	138,891.1
აქციები და სხვა კაპიტალი	51,323.3	38,413.4

*ვალუტა და დეპოზიტებში 446 575.7 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.5 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2018 წლის 1 ოქტომბრისათვის განისაზღვრა 1 004 548.2 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 79 965.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	385,463.2	79,965.0
ვალუტა და დეპოზიტები	341,463.2	0.0
სესხები	44,000.0	54,948.4
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	25,013.7
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	2.9

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 263 412.5 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 810 939.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- 243 946.4 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 1.0 ათასი ლარი - სხვა კრედიტორული დავალიანებები;
- 380 074.2 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 186 918.0 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	1,100,782.0	810,939.7
საშინაო	230,693.0	243,947.4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	230,693.0	243,946.4
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	1.0
საგარეო	870,089.0	566,992.2
სესხები	870,089.0	566,992.2
აქციები და სხვა კაპიტალი*	0.0	0.0

** *შენიშვნა: საზაზინო სამსახურის ინფორმაციით მუხლში „აქცია და სხვა კაპიტალი“ დაფიქსირებულია 25 ლარი.*

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	**186,918.0**
AFD	186,918.0
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**380,074.2**
WB	111,789.0
IFAD	5,491.1
EIB	56,898.6
EBRD	9,798.7
AIIB	7,051.2
ADB	153,627.8
კუვეიტი	108.6
საფრანგეთი	3,796.1
იაპონია	4,317.1
გერმანია	27,196.0
სულ კრედიტები	**566,992.2**

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 39 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 245 000.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 1 019 400.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 14.5% - 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 28.9% - 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 28.9% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 21.7% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 6.0% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 1 227 646.5 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 983 700.1 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 243 946.4 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 105.4%-ია.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება/დაფარვით 2018 წლის 9 თვის განმავლობაში საშინაო ვალდებულებების ცვლილება

ათას ლარებში

თვე	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული თანხა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ცვლილება
იანვარი	151,518.7	210,821.4	-59,302.7
თებერვალი	127,244.1	56,738.1	70,505.9
მარტი	127,950.4	146,745.0	-18,794.6
აპრილი	154,630.2	62,308.3	92,322.0
მაისი	128,989.2	56,515.1	72,474.1
ივნისი	129,423.3	202,852.6	-73,429.3
ივლისი	152,645.9	152,846.7	-200.8
აგვისტო	127,963.1	56,906.9	71,056.3
სექტემბერი	127,281.6	37,966.1	89,315.6
სულ	***1,227,646.5***	***983,700.1***	***243,946.4***

3. ვალდებულებების კლება 547 527.2 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	583,914.6	547,527.2
საშინაო	27,082.0	27,082.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	27,000.0	27,000.0
სესხები	82.0	82.0
საგარეო	556,832.6	520,445.2
სესხები	553,600.0	517,212.6
სხვა კრედიტორული დავალიანებები	3,232.6	3,232.6

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 17 194.3 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 3 752.4 მლნ ლარს, მათ შორის:
  - ✓ ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 280.8 მლნ ლარი;
  - ✓ სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 160.0 მლნ ლარი;
  - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 2 122.5 მლნ ლარი;
  - ✓ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 516.8 მლნ ლარი;
  - ✓ სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. “ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 13 441.9 მლნ ლარს.

ათას ლარებში

	კრედიტორი	ნაშთი 30.09.2018
სულ სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს გარანტიით აღებული საგარეო ვალი		**13,441,870.0**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან		**9,580,598.3**
1	მსოფლიო ბანკი (WB)	5,145,514.6
2	სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	77,878.2
3	საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	164,192.4
4	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	328,597.2
5	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	2,786,050.0
6	ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	977,437.2
7	ევროკავშირი (EU)	69,703.8
9	აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	31,224.8
ორმხრივი კრედიტორებისაგან		**2,220,254.5**
1	ავსტრია	38,428.0
2	აზერბაიჯანი	20,857.0
3	თურქმენეთი	552.0
4	თურქეთი	40,002.2
5	ირანი	16,094.9
6	რუსეთი	166,234.1
7	სომხეთი	23,595.8
8	უზბეკეთი	418.2
9	უკრაინა	381.9
10	ყაზახეთი	48,863.1
11	ჩინეთი	4,559.2
12	გერმანია	724,292.7
13	იაპონია	543,435.6
14	კუვეიტი	28,428.1
15	ნიდერლანდები	2,434.4
16	ამერიკა	57,024.3
17	საფრანგეთი	504,652.8
სხვა საგარეო ვალდებულებები		**1,307,550.0**
	ევრობონდები	1,307,550.0
სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტები		**5,082.4**
	გერმანია	5,082.4
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ეროვნული ბანკი)		**328,384.8**
საშინაო ვალის ნაშთი		**3,752,416.0**
1	ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	280,846.0
2	სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	160,000.0
3	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	516,756.8
4	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	2,122,488.1
5	ისტორიული ვალი	672,325.0
სულ სახელმწიფო ვალის ნაშთი		**17,194,286.0**